

## ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიის ანარეკლი „ხევისბერ გორაში“

ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე როცა ვინცე საუბარს, ყოველთვის მახსენდება გიორგი ლეონიძის ფრაზა – მწერლის პირადი ცხოვრება არის საფუძველი მისი შემოქმედებისაო. არ მეგულება მწერალი, რომელსაც ეს სიტყვები ისე მიესადაგებოდეს, როგორც ყაზბეგს. სწორედ მისი უცნაური ცხოვრება გახდა განმსაზღვრელი მისივე შემოქმედებისა. თვითონაც გრძნობდა ამას და სანამ რომელიმე ჩვენგანი იტყოდა, დაასწრო ყველას და დაწერა: „საკვირველს ბედზედა ვარ გაჩენილიო“.

პოეტმა, მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ იოსებ გრიშაშვილმა (მე დავამატებ-დი: ყაზბეგის ერთ-ერთმა ყველაზე ობიექტურმა მკვლევარმა) ასე დაახასიათა მწერლის პიროვნება: „სამი რამ იყო განსაცვიფრებელი ყაზბეგში: ლოველას გენერალ ჯამბარაშვილის როლის შესრულება პიესა „ეხლანდელ სიყვარულში“, ჩაჩხური ცეკვა და დიდი ბელეტრისტული ნიჭი“ (გრიშაშვილი 1960ა: 53).

ამ გამორჩეულობას ბევრი რამ შეიძლება დაემატოს, რაც გაამართლებს მწერლის სიტყვებს „საკვირველს ბედზე“ გაჩენილობის შესახებ, თუნდაც ის, რომ ხევის ყველაზე გავლენიანი და მდიდარი ოჯახის შვილმა, ნალოლიავებმა „უფლისწულმა“ სული მიუსაფრობასა და სილატაკეში დალია. ხომ იშვიათია ისეთი მწერალიც, რომელსაც საკუთარი შემოქმედების ქურდობაში სდებდნენ ბრალს, – მან მსოფლიო გენიოსების ეს ტრაგიკული ბედიც გაიზიარა. იშვიათია აგრეთვე ისეთი შემოქმედი, რომელსაც სიცოცხლეში მადლობის ნაცვლად იმდენი დაუფასებლობა და ტკივილი მიეღოს, რამდენიც ალ. ყაზბეგს. ეს დაუფასებლობა მწერლის ცხოვრების ყველაზე დიდი ტრაგედია იყო, ძალიან განიცდიდა და ამის შესახებ არაერთ წერილში დაიწვილა, რომელთა უმრავლესობაც დღემდე გამოუქვეყნებელია, ალბათ, მათში მოხსენიებულ პიროვნებათა გამო... ამ საკითხის შესახებ საუბარი ყველაზე მოურიდებლად, კონიუნქტურის გარეშე ისევ იოსებ გრიშაშვილმა გაბედა, რომელიც გამოესარჩლა მწერალს და დაადასტურა ის, რასაც იგი მთელი ცხოვრება ჩიოდა: „გაზეთში მოკალათებული რეცენზენტები უსამართლოდ და უდიერად ეპყრობოდნენ ა. ყაზბეგს, აბა, რომელი მსახიობი არ ყოფილა სუსტი, მაგრამ არც ერთი არ იყო ისე აბუჩად აგდებული, როგორც ჩვენი საყვარელი ბელეტრისტი!..

მაშინდელი ცნობილი ლიტერატორები: დავით კეზელი (ზოილი, სოსლანი), ილია ბახტაძე (ხონელი), ვალერიან გუნია (ვალიკო-ია), იონა მეუნარგია (ლელი) და სხვები ერთპირად ყაზბეგის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი.

რა შეეძლო მარტოდმარტო დარჩენილ ა. ყაზბეგს? ებრძოლა? როგორ? რანაირად? თუმცა რეცენზენტების მისამართით ხანდახან ამოიკვნესებდა:

„დამეხსენ, თორემ მეც დაგკრამ,  
გამიწყდა მოთმინებაო.  
ჩემი დაკრული, ცას ვფიცავ,  
დაკრულსა ეგვანებაო!“

ალ. ყაზბეგს არ ჰყოლია გულის შემატკივარი, ქომაგი. ერთხელ პიესა „ეხლანდელ სიყვარულში“ ა. ყაზბეგის ავადმყოფობის გამო მისი როლი მსახიობმა მაქსიმემ (კოტე მძინარაშვილმა) შეასრულა. რეცენზენტი აქაც გადასწვდა ალ. ყაზბეგს: მაქსიმეძე ძლიერ ჰზაძავს ყაზბეგის თამაშობას, მასწავლებელი რა არის, რომ მისი მონაფე რა უნდა იყოსო. ალექსანდრე ყაზბეგის მთელ რეპერტუარში ჯამბარაშვილი ერთადერთი როლი იყო, რომელსაც კარგად ასრულებდა ჩვენი ბელეტრისტი და აქაც შხამი გადაასხეს მის გულს.

დავით კლდიაშვილი იგონებს, თუ როგორ ცხარე ცრემლით აუტირებია ალ. ყაზბეგი ხონელის ფელეტონს. ძლივს დავანყნარეთო, – დასძენს იგი.

უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ჩვენი ნიჭიერი მეფელეტონე ი. ხონელი ძალიან სასტიკად ეპყრობოდა სანდროს სცენაზე მოსვლას. ხონელი იმის მომხრეცაა, რომ უხეირო არტისტს მკვდარი კატები ესროლონ სცენაზე.

დიახ!

და ყველა ეს, სამწუხაროდ, იწერებოდა „ივერიაში“ და არავინ არ გამოეხარჩლა!

იყო ოთხკედელშუა გამომწყვდეული თავის მაიმუნ ჟაკოთი, განაპირდა, გამარტოვდა, ჩასახლდა თავის გულის ყაფაზაში და მხოლოდ წერაში ჰპოვებდა სულის სიმშვიდეს.

„არავინ შეიბრალა“, ხელი არავინ გადაუსვა“, სიპ ქვაზე დატოვებს, მოლიპულ გზაზე დააყენებს. არავინ დაუყვავა, არც „სატროფომ გულისა“ და „არც ძლიერთა იმა ქვეყნის კაცებმა“ (გრიშაშვილი 1960ბ: 62-65).

კიდევ ერთი ყველაზე სამწუხარო ფაქტი მრავალთაგან ის არის, რომ იშვიათია მწერალი, რომლის არქივიც ისეთი შეუსწავლელი იყოს, როგორიც ალ. ყაზბეგისა.

ბატონი ლევან ბრეგაძე თავის ერთ-ერთ ძალიან საინტერესო გამოკვლევაში წერს, რომ 1878 წელს ფ. ბაიერნმა არქეოლოგიური გათხრები აწარმოა სტეფანწმინდაში, ალ. ყაზბეგის ეზოში და მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალურ მასალებსა და სიმდიდრეს მიაგნო, რომელიც მის მოხსენებებში „სტეფანწმინდის განძის“ სახელწოდებითაა ცნობილი, ამ დროს კი ალ. ყაზბეგი უკიდურეს მატერიალურ გაჭირვებაში იყო.

ბატონი ლევან ბრეგაძე შენიშნავს: „თეიმურაზ მაღლაფერიძე სტატიაში „ალექსანდრე ყაზბეგის პიროვნება“ ასე ალაპარაკებს მწერლის მოშურნეებს: „განა შეიძლება, ისეთი თავქარიანი და ქარაფშუტა კაცი, როგორიც მოჩხუბარიძეა, დიდებული მოთხრობების დამწერი იყოს? გიმნაზია ვერ დაამთავრა, მოსკოვში ვერ ისწავლა, გენერალი მამის ქონება გაანიავა, ცხვარში ინანწალა, მედუქნეობა ეცადა, სცენაზე ურცხვად დატლიკინობს და უნიჭო პიესებსა სწერს. თანაც საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს, განა შეიძლება?“

„ამას სადმე უნდა ჩაემატოს: ეზოში ზღაპრული განძი ემარხა და იქიდან ვერაფერი გამოადნო“, – აღნიშნავს მკვლევარი (ბრეგაძე 2014: 137).

მოშურნების ასეთმა „საგულდაგულო შრომამ“ ის შედეგი გამოიღო, რომ ყაზბეგის შესახებ შემუშავდა ერთგვარი სტერეოტიპული შეხედულება, რომლის მიხედვითაც, ის იყო განდგომილი, არაკომუნიკაბელური, სუსტი პოეტი და დრამატურგი, მდარე მსახიობი და სხვა და სხვა... შედეგების დაწინააღმდეგე კი შეჰბედეც.

და ამას ჰკადრებდნენ მწერალს, რომელიც ქარიშხალივით შემოიჭრა ქართულ ლიტერატურაში, ხუთიოდე წელიწადში დაწერა ყველა თავისი პროზაული შედეგები და ისეთი კვალი დაამჩნია ჩვენს მწერლობას, რომლის ნაშლა ან გვერდის ავლა შეუძლებელია. მან ხომ პირველმა შემოიტანა მთის თემა ასე მკვეთრად ჩვენს მწერლობაში და აღტაცებაში მოიყვანა მკითხველი, რადგან სულ სხვაგვარად აგრძნობინა ნაცნობი მთიანეთის სურნელი. თავისი პროზით ყაზბეგმა შექმნა ისეთი ზნეობრივი კოდექსები, რომლებსაც დღეს, 21-ე საუკუნეში, ღირებულებათა ტოტალური გადაფასების ეპოქაშიც კი არ დაუკარგავს სიმძაფრე და აქტუალურობა.

ყაზბეგის პროზაულ შედეგებსაც რომ თავი დავანებოთ, **ის სერიოზულ ინტერესს იჩენდა საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ, რაც რატომღაც არ არის ხაზგასმული მის ბიოგრაფიაში.** მაგალითად, წერდა საოცარ ეთნოგრაფიულ წერილებს მთის მდგომარეობაზე, უსწორებდა მოგზაურებს იმ შეცდომებს, რომლებსაც ისინი უშვებდნენ თავიანთ ჩანაწერებში ქართული მთიანეთის შესახებ. ყაზბეგმა ზუსტად იწინასწარმეტყველა, როგორ უნდა ეცხოვრა მთის ხალხს მომავალში (იხ. წერილი „მოხვევებისა და მთიულების მდგომარეობა მომავალში“). მან პირველმა ჩამოაყალიბა იმერელ ხელოსანთა საზოგადოება, დაუწერა წესდება, ერთ-ერთი პირველი დაინტერესდა განადგურების პირას მისული ხალხური სიტყვიერებით; სოფელ-სოფელ, კარდაკარ დადიოდა და აგროვებდა მთაში მიმოხვეულ მარგალიტებს. შედეგი ის იყო, რომ 1886 წელს პირველმა გამოსცა იმ დროისთვის ცოტა უცხო და უცნაური კრებული: „სახალხო ლექსები. მოხვევთა და მოხვევის სიმღერები“, რომლის შესახებ „ივერიაში“ რამდენიმე აღტაცებული რეცენზია დაიბეჭდა.

პროზის გარდა, საინტერესოა მწერლის ლექსები, პიესები, პუბლიცისტური წერილები.

უბრალოდ, ალ. ყაზბეგის მეტოქე ისევ ალ. ყაზბეგი აღმოჩნდა და თავისი არაჩვეულებრივი ბელეტრისტიკის ფონზე დაიჩრდილა, როგორც პოეტი და დრამატურგი, თორემ პროფესორ თამარ ბარბაქაძის გამოკვლევით (ბარბაქაძე 2006: 81), ერთი უმშვენიერესი ლექსი „ეს გაზაფხულიც მოვიდა, აგერ ჩამოშრნენ მთანია“, შესულია როგორც ყაზბეგის, ისე ვაჟას აკადემიურ კრებულებში და დღემდე მკვლევრებს თავსატეხად გვაქვს, რომლის საკუთრებაა იგი, ვაჟასი თუ ყაზბეგისა?

მწერლის პიესებიდან ბევრი, მაგალითად, „ერთი უბედურთაგანი“, „ცხოვრების თანამგზავრი“, „არსენა“, „წამება ქეთევან დედოფლისა“, „დილა ქორწილის შემდეგ“ და სხვები არ ჩამოსულა იმ პერიოდის სცენიდან და ზოგიერთი მათგანი საბჭოთა პერიოდშიც იდგმებოდა. ყაზბეგის მიერ ხანჯლებით შესრულებულ ცეკვა „ჩაჩნურს“ ხომ აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი და ბევრი სწორედ ამ ცეკვის სანახავად დადიოდა თეატრში.

სხვა თემაა ბათუმის სკოლის დასახმარებლად ჩატარებული საქველმოქმედო სპექტაკლები და ჭიდაობები; ოპერატიული ჟურნალისტობა, როცა დაუნდობელი

ცენზორისგან გაზეთის დაცარიელებული გვერდების შესავსებად „დროების“ ან „ივერიის“ რედაქტორ-თანამშრომლები დაიძახებდნენ „სანდრო, მასალა მოგვაშველეო“ და ერთი საყვედური არ წამოსცდებოდა, მზად იყო, თავგანწირულად ემუშავა... ამიტომაც დაწერს მომავალში „დროების“ რედაქციისგან განაწყენებული ყაზბეგი: „დიახ, ბევრი, ძალიან ბევრი ვიმუშავე „დროებაში“. მის სტატიებს ჩავაწყალე ჩემი თვალის სინათლე“ (ყაზბეგი 1950ა: 119).

მეტი რა უნდა მოესწრო ხანმოკლე სიცოცხლეში: იყო მეურნე, მწყემსი, დახლიდარი, მოიჯარე, ბელეტრისტი, დრამატურგი, პოეტი, არტისტი, დეკლამატორი, მოცეკვავე, მკვლევარი, პოლემისტი, ფოლკლორისტი...

მაგრამ არ ცხრებოდა მოშურნეთა ჯგუფი, დაღალა მათმა გაუთავებელმა შეტევებმა, ჭორებმა... თითქოს თვითონვე ერიდებოდა ცილისწამებისგან თავდაცვის მიზნით შექმნილი სტატიებისა, რომლებიც „ბ. რედაქტორს“ სათაურით იყო დაწერილი და რომელთაგან ბევრი დღესაც გამოუქვეყნებელია. ამიტომ კითხულობდა: „ნუთუ პასუხი არ უნდა? შეიძლება ჩემგან გამოურკვეველი დარჩეს?“ და იქვე განაგრძობდა: „არ შეიძლება და არცა მაქვს მაგის უფლება. არა მაქვს მისთვის, რომ კარგის მწერლის წინედ, მე მინდა ვიყო კარგი შვილი საქართველოსი“. „წმინდაა საგანი, რომელსაც მე ვემსახურები და ქვეყნად ვერც ცა თავისის მრისხანებით, ვერც ქვესკნელი ჯოჯოხეთის ქადილით, ვერ შეარყევს ჩემს გულის მოძრაობას!“ – ერთი შეხედვით, როგორ პათეტიკურად უღერს დღეს მისი სიტყვები, მაგრამ ამის ახსნასაც ისევ მწერალი გვთავაზობს: „მე არც ცოლი, არც შვილი, არც თუ სხვა რომელიმე გულის შემატკივარი არ დამრჩება. თუ საქართველოში ჩვენი დროის პირველის ბელეტრისტის სახელი არ დამრჩა – დამრჩება მისთვის პირველის გულის შემატკივარის სახელი!..“ (ყაზბეგი 1950ა: 161).

ეს სიტყვები არის უკვდავი შედეგების ავტორის თავმდაბლობის მწვერვალი. ასეც დაახასიათა მაკო საფაროვამ „ეს წრეს გადასული თავაზიანი კაცი“.

ამიტომაც, თანამედროვეთაგან განამებული, თითქოს საკუთარ ცხოვრებაზე, დროსა და ეპოქაზე ხელჩაქნეული და მომავლის მოიმედე თავისი ნაწერების სხვადასხვა ადგილას ხშირად იმეორებს ერთსა და იმავე აზრს განსხვავებული ფორმით: „რეცენზენტი, ნამდვილის ამ სიტყვის მნიშვნელობით, არა გვყავს“, „ჩვენში დღემდის შრომის ღირსების გარჩევა არ არის, არამედ პირადი ლანძღვა“, „დარწმუნებული ვარ, რომ ოდესმე ჩვენს ლიტერატურას შეეხება სერიოზული კრიტიკა და აუცილებლად ჩემი თხზულებანიც შიგ მოჰყვებიან“, „მაგას შემდეგი გვიჩვენებს, როდესაც შრომის ნამდვილი დამფასებლები შეეხებიან ჩემს ნაწერებს და ბ. მეუნარგიას სიტყვებს „არა მგონია... მოჩხუბრაიქმ ხეირიანი გააკეთოს რამო“, ჩემთვის სავალდებულოდ არა ვხდი“, „საქმე, საქმე დაამტკიცებს სიმართლეს ჩემის სიტყვებისას...“

ასეც მოხდა. თანამედროვე კვლევების საფუძველზე ნელ-ნელა იმსხვრევა ალ. ყაზბეგის გარშემო აღმოცენებული და გაბატონებული უსაფუძვლო სტერეოტიპები და მის შესახებ უამრავი სიახლე ამოდის ზედაპირზე. მათგან ერთ-ერთი მწერლის სიყვარულის ისტორიაა. მოსკოვიდან დედისადმი გაგზავნილ წერილში მოთხრობილი სიყვარულის ამბავი ზოგიერთმა მკვლევარმა ბელეტრისტიკად მიიჩნია და არა

რეალურ ფაქტად. თითქოს წარმოუდგენელი იყო, რომ მწერალსაც ვინმე ჰყვარებოდა. „ეს არის წერილი კი არა, პირველი რომანი, მისი ფანტაზიის ნაყოფი. იგი ამჟღავნებს ახალგაზრდა ავტორის მიდრეკილებას სენტიმენტალიზმისთვის დამახასიათებელი მანერისაკენ“, – წერდა დავით კარიჭაშვილი.

არადა, მართლა გაუგებარია, რატომ დამარცხდა სიყვარულში შესანიშნავი გარეგნობის, არისტოკრატიული წარმომავლობის, ჩინებული აღზრდა-განათლების, უსაზღვრო ნიჭისა და ინტელექტის მქონე მწერალი.

აღბათ ასე იყო საჭირო. თუ „პირადი ცხოვრება შემოქმედების საფუძველია“, მაშინ მკითხველს ნამდვილად გაუმართლა, რადგან ყაზბეგი სიყვარულში რომ არ დამარცხებულყო, ხევის მეზატონე და მისი მმართველი გამხდარიყო, მამის ქონება შეენარჩუნებინა, თავისი მოხვეჭილიც ზედ დაემატებინა და თვითკმაყოფილებას მისცემოდა, ქართული ლიტერატურა აუცილებლად დაკარგავდა თავის „ჰომეროსს“. სწორედ ტრაგიკულმა ცხოვრებამ შეაქმნევინა მწერალს დრამატიზმით აღსავსე ნაწარმოებები, რომლებიც გულგრილს არავის ტოვებს, არადამათი ავტორი იძულებული იყო, უამრავ ჭორსა და ცილისწამებას გამკლავებოდა. ერთი მოარული ამბავი, უფრო სწორად ჭორი, ნათესავი ქალის სიყვარულს ეხება. ამ საკითხზე ჩემმა სტეფანწმინდელმა რესპონდენტებმა, რომელთაგან აღ. ყაზბეგის შესახებ შემორჩენილ ზეპირ ისტორიებს ვაგროვებდი, საუბარი არ ისურვეს. როგორც ჩანს, ეს ისეთივე სულელური და მოგონილი მითია მწერლის ბიოგრაფიისა, როგორც მისი ავტორობის საკითხი. ვეჭვობ, პირიქით, იმ „ვილაც ნათესავ ქალს“ ხომ არ უყვარდა ყაზბეგი და ამ ფაქტმა ხომ არ შეუწყო ხელი ჭორის აგორებას?!

რაც შეეხება აღ. ყაზბეგის რომანტიკულ თავგადასავლებს, მათი დამადასტურებელი საბუთი ნამდვილად დატოვა მწერალმა (მხედველობაში მაქვს მისი ეგრეთ წოდებული „დონჟუანური სია“). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღ. ყაზბეგის ფონდში ინახება პორნოგრაფიული ლექსების ავტოგრაფული კრებული „არა ყველასათვის საკითხავი“ (№89/144, S:3997/31). კრებულს წინ უძღვის შესავალი – „განცხადება. ნუ კითხულობ“. „სამიჯნურო ლექსების“ განყოფილებაში შეტანილი პოეტური ნიმუშების ქალ-პერსონაჟთა გალერეა მრავალფეროვანია: მალია, ბაბუცა, სალომე, მაკო, ნატო, ნინა, ტასო, კაკო, თიკო, დარო, გ-ია, ქეთო, ელო, ოლა, ვარო, მარო, სონა, ვერა, თამარი, ბაბალე, ქეთოშა, ლიზო, სოფიო, მართა, ციცია. თითოეულ ლექსში მოკლედ და მკაფიოდაა გადმოცემული მწერლის თვალთ დანახული (აღბათ, უფრო ნაგრძნობი) სახასიათო ეროტიკული შტრიხი იმ ქალისა, რომელსაც სტროფი ეძღვნება. კრებულის ბოლოს შეტანილია სამი ზოგადი ხასიათის (უადრესატო) სკაბრეზული ლექსი: „ქალმა სთქვა“, „შენთან მოვედ“, „ქალს“.

ასეთ შემთხვევითსა და არასერიოზულ ურთიერთობებს თუ არ ჩავთვლით, აღ. ყაზბეგს რეალურად ორი თავზარდამცემი სიყვარული სწვევია.

ჩემი სტეფანწმინდელი რესპონდენტების მონათხრობით (რაც მემუარული მასალითაც დასტურდება), 17-18 წლის ალექსანდრეს შეჰყვარებია სოფელ გარბანში მცხოვრები ერთი ულამაზესი გლეხის გოგო – ძიძია ქუქიშვილი. ქალ-ვაჟს შორის ნამდვილმა, წრფელმა გრძნობამ იფეთქა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მათ შორის კლასობრივი უთანასწორობის კედელი აღიმართა. ქალის უფროსმა ძმებმა

ვერაფრით დაიჯერეს ალექსანდრეს გულწრფელი სიყვარულის ამბავი, დას მასთან შეხვედრა აუკრძალეს და სახლში გამოკეტეს („ეგ შენი ცოლად მომყვანი არ არისო“).

ბუნებრივია, ეს ერთადერთი წინააღმდეგობა არ ყოფილა. ხევის ამპარტავანი მებატონეებიც, ფაქტია, კმაყოფილი არ დარჩებოდნენ შვილის არჩევანით და გლეხის გოგოს ოჯახში არ შეიყვანდნენ. ასეც მოხდა. ძიძია დარდისგან დაჭლექდა და გარდაიცვალა. ალექსანდრე ყაზბეგს მის საფლავთან ფიცი დაუდვია, რომ ცოლს არასოდეს შეირთავდა. როგორც ამბობენ, ძიძიას საფლავი დღემდე შემონახულია სოფელ გარბანის სასაფლაოზე.

ყაზბეგის ცხოვრებაში ამ დრამატულ ამბავს უკვალოდ არ ჩაუვლია. არაერთმა ქარიშხალმა გადაიარა მის თავზე – თუნდაც კიდევ ერთმა მოულოდნელად თავსდატეხილმა სიყვარულმა – მაგრამ ნებისთი თუ უნებლიეთ, მწერალი თავისი ფიცის ერთგული დარჩა...

ვინ იყო ქალი, რომელმაც შეყვარებულის საფლავთან დადებული ფიცი კინალამ გაატეხინა მწერალს?

გრაფინია ნინო ჩერნიშოვ-კრუგლოვა ალ. ყაზბეგმა 1869 წელს მოსკოვში, შატიხინ-ჭავჭავაძეების ოჯახში გაიცნო. ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდა. საქმეები ისე აენყო, რომ 1870 წლის იანვარში ალექსანდრეს და ნინოს ქორწილი დაინიშნა, მაგრამ მოულოდნელად, 1870 წლის ნოემბერში, მწერალი სასონარკვეთილი და განადგურებული დაბრუნდა სამშობლოში. მწერლის მოსკოვური ბიოგრაფიის ეს მონაკვეთი ბურუსით იყო მოცული და მკვლევართა ერთ ნაწილს ამ სიყვარულისა არც სჯეროდა. მხოლოდ ივანე ლოლაშვილის (ლოლაშვილი 1949) ნაშრომმა ახადა ფარდა ამ საიდუმლოს. მკვლევარმა არქივში მოიძია უამრავი წერილობითი დოკუმენტი და მემუარული მასალა, რომელშიც ადასტურებდა ყაზბეგის სიყვარულისა და დედისადმი გაგზავნილ წერილში არსებული ფაქტების უტყუარობას. კითხვის ნიშანი მაინც რჩებოდა – რატომ ჩაიშალა ქორწილი?

ამ საკითხის გარკვევაში დიდი დამსახურება მიუძღვის პროფესორ ნორა კოტინოვს, რომელიც 2000-იან წლებში ყაზბეგის ახალი აკადემიურ გამოცემაზე (კერძოდ, დაუმთავრებელი მოთხრობების ტომზე) მუშაობდა. სწორედ მწერლის ორმა დაუმთავრებელმა ავტობიოგრაფიულმა თხზულებამ – „საქართველოს ბომონდმა“ (1870) და „ცხოვრების ჩაღბმა“ (1882) ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მკვლევრებს ზოგიერთი ბურუსით მოცული საკითხისა და ბუნდოვანი ბიოგრაფიული დეტალის გარკვევაში. ივანე ლოლაშვილის მიერ მოპოვებული საარქივო დოკუმენტებისა და ზემოთ დასახელებული ნაწარმოებების შედარებითა ანალიზმა დაადასტურა, რომ თხზულებებში მოთხრობილი ამბები მწერლის ბიოგრაფიის მხატვრულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს (ფოტოგრაფიული სიზუსტით). ავტორს „საქართველოს ბომონდი“ და „ცხოვრების ჩაღბი“ დაუსრულებელი დარჩა, მაგრამ მისი ცდა წარმატებით დასრულდა, როცა მან მკითხველს შესთავაზა ავტობიოგრაფიულისა და მხატვრული გამონაგონის ნაზავი თავისი პროზაული შედეგის, „ხევისბერი გოჩას“ სახით.

მწერალი გვარწმუნებს, რომ ეს თხზულება სიტყვასიტყვით ჩაინერა ხალხური მთქმელისგან. მსგავსი ისტორიები ნამდვილად გვხვდება ფოკლორულ წყაროებში

და სხვადასხვა კრებულშიცაა შეტანილი, მაგალითად, ქართული დიალექტოლოგიის I ტომში (მამის მიერ შვილის მკვლევლობის ამბავი და სხვ.). მაშ, რატომ არ უნდა ვერწმუნოთ ავტორს, რომელიც გვაუწყებს, რომ „ხევისბერი გოჩა“ სხვისი მონათხრობია? ამისთვის საკმარისია, მწერლის ბიოგრაფიის რამდენიმე დეტალს გადავავლოთ თვალი.

აღ. ყაზბეგის პირადი ცხოვრება და „ხევისბერი გოჩა“ მჭიდროდ არიან გადაჯაჭვულნი ერთმანეთთან. თხზულების მთავარი გმირის – ძიძიას – პროტოტიპებად მწერლის პირველი შეყვარებული – ძიძია ქუქიშვილი და მისი მოსკოვური სიყვარული – გრაფინია ნინო ჩერნიშოვ-კრუგლოვა უნდა მივიჩნიოთ. აქ საინტერესოა ერთი დეტალი. მწერალს რეალური ძიძიას გარეგნობის აღწერა არსად დაუტოვებია, მაგრამ ხევში გავერცელებული გადმოცემებით, მისი პირველი სატრფო „ხევისბერი გოჩას“ ძიძიას ძალიან ჰგავდა (ლურჯი თვალები და ა.შ.) და მწერალმაც თავის თხზულებაში სწორედ ეს ქალი აღწერა. რაც შეეხება ყაზბეგის მოსკოველ შეყვარებულს, მას ჩემი რესპონდენტები ცოტა არ იყოს უხეშად იხსენიებენ – „ის ვიღაც რუსის ქალი“ – და „შეურაცხყოფილი“ ეჭვობენ კიდევ, ძიძიას შემდეგ ის როგორ შეუყვარდებოდაო... მაგრამ რა ვუყოთ დედისადმი გაგზავნილ წერილში დაწვრილებით აღწერილ ნინო ჩერნიშოვ-კრუგლოვას გარეგნობას, რომელსაც მწერალი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს თავის თხზულებაში, როდესაც ონისეს სატრფოს გარეგნობას აღწერს?

დედისადმი გაგზავნილ წერილში ყაზბეგი ასე ახასიათებს გრაფინიას: „მშვენიერის მაღალის ტანისა, ამაყურად ამალღებულის მკერდი სუნთქამდა იმ სუნთქვით, რომელიც ამტკიცებს მცირე მღელვარებას. მშვენიერს თეთრს უმტვერო პირისახეზედ ეშლება ვარდსავით სინითლე, ტუჩები ალისფერი მარჯანსავით მომღელვარე, პატარები და მუდამ მოცინარი. ნიკაპი რგვალად მოყვანილი, ცხვირი სწორი და რიგიან პირი-სახესთან მშვენიერი დიდი ლურჯი თვალები, მოელვარე, თითქო ცეცხლი ეს არის უნდა ამოხდესო, რომელსაც იფარავენ გრძელი, მშვენიერი ნამწამები. ზემოდან მშვენიერად წამოზდგომიან მშვილდსავით მოხრილი წარბები, მაღალი შუბლი და ხუჭუჭი თმები ამგზავსებენ ანგელოზს, დაუდარებელს გრაფინიას... იგი იყო თეთრს უმტვერო ტანისამოსში...“ (ყაზბეგი 1950ბ: 205). შევადაროთ „ხევისბერ გოჩაში“ გადმოცემულ ძიძიას პორტრეტს: „ძიძია იყო ტანადი, ლამაზი, მშვენიერის დაკოკრებულის ლამაზის თხელი ტუჩებით, რომელნიც თითქოს საკოცნელად მომზადებულიყვნენ. თეთრს – ყირმიზს, ატლასის მსგავს სახეზედ დასთამაშებდა მხურვალეების ნიშანი ელფერი, რომელიც თავის დღეში გატყაპულს სინითლედ არ გადადიოდა; მოჟუჟუნე ლურჯი ცისფერი თვალები მაცდურად უკამკამებდა და გულისგამგმირავს ისართ ისროდა, შავი გრძელი ნამწამები გარს მცველებად მოსდგომოდა და წვრილი ხავერდით წარბები გრძლად გადასჭიმოდა, სქელი შავი თმა ორს ნაწნავად თეთრ ბროლივით ყელს სუროსავით შემოხვეოდა, – სიტყვით, ძიძია ნახატი მშვენიერება იყო“.

ამ ორ პასაჟს კომენტარიც არ სჭირდება. როგორც ჩანს, მწერლის ორივე სატრფოს გარეგნობა, ნიუანსური განსხვავებით, ერთმანეთს დაემთხვა (ეს ასეც იყო მოსალოდნელი, თუ ფიცს გავიხსენებთ). აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკ-

ვნა, რომ „ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟში ორივე ქალის გარეგნობაა გაერთიანებული, თუმცა სახელი... თხზულების გმირს ის მაინც ავტორის პირველი სიყვარულისა შერჩა და ბედისწერაც მისი გაიზიარა. „ხევისბერი გოჩას“ ძიძიამ ცხოვრება ტრაგიკულად დაასრულა – თავი მოიკლა. ძიძია ქუქიშვილმაც ალექსანდრეს დაკარგვის შემდეგ, შეიძლება ითქვას, დარდით მოიკლა თავი...

ახლა ვნახოთ, „ხევისბრის“ რომელ პერსონაჟთან შეიძლება გავაიგივოთ თავად ავტორი.

მწერალმა ძიძია მოთხრობის იმ პერსონაჟს დაარქვა, რომელთანაც ონისეს აკრძალული სიყვარული აკავშირებდა. თუ ონისეს სახეს კარგად განვჩხრეკთ, აღმოვაჩინებთ, რომ მას ძალიან ბევრი საერთო აქვს თხზულების ავტორთან. ყველა პარალელის აქ დასახელებისა და უხვი ციტირებისგან თავს შევიკავებ და მხოლოდ რამდენიმე მაგალითით შემოვიფარგლები.

აღ. ყაზბეგი მთის მებატონის ერთადერთი ვაჟი იყო, ჰქონდა ყველაფერი, რაც გალალებული ცხოვრების საშუალებას აძლევდა, მაგრამ სიყვარულში დამარცხდა და თავს უბედურად გრძნობდა.

ონისეც ხევისბრის ერთადერთი ვაჟია – ახალგაზრდა, ლამაზი, გონიერი. მისი ქცევიდან, ჩაცმულობიდან (ქორწილის სცენა) ირკვევა, რომ არც მას აკლია რაიმე, მაგრამ ისიც უბედურია მიუწვდომელი სიყვარულის გამო.

არტემ ახნაზაროვის მოგონებით, „პატარა სანდროს აცმევენენ მშვენიერ ტანსაცმელს და ოქრო-ვერცხლის პატარა იარაღებითაც რთავდნენ...“ ზრდასრული ყაზბეგიც, მოგონებების მიხედვით, ასე იმოსებოდა.

„ხევისბერ გოჩაში“ ასე ვეცნობით ონისეს: „სტუმრები მოგროვდნენ კარებთან, შუაში ჩაიყენეს ერთი წარმოსადეგი, ახალ წვერ-ულვამ აშლილი ყმანვილი ბიჭი, რომელსაც ნაბადი ჰქონდა წამოსხმული და გვერდს მიუყენეს **მეორე ყმანვილი ბიჭი, უფრო მდიდრულად ჩაცმული და მთლად ოქრო-ვერცხლით შეჭვდილი**“. ამ სურათის მიხედვით, ონისეს ჩაცმულობაში ნამდვილად ჰპოვა გამოძახილი მწერლის ბავშვობისდროინდელმა (და არა მარტო) ჩაცმულობის დეტალებმა. მართალია, ონისე ხევისბრის შვილია, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, გუგუას სცმოდა ასე საკუთარ ქორწილში მაინც? მაგრამ ავტორმა ჩაცმულობაზე აქცენტი სწორედ ონისეზე გააკეთა...

ძიძია ქუქიშვილის დაკარგვით გამოწვეული დარდისა და კაემნის აღწერა წერილობით წყაროებში არსად გვხვდება, არც ყაზბეგის მიერ შედგენილ „ავტობიოგრაფიულ ცნობებში“. ამის შესახებ ერთი მემუარული მასალა და ზეპირი გადმოცემები მოგვითხრობენ და რომ არა ისინი, ალბათ, ეს ფაქტი, ისევე როგორც სხვა მრავალი მწერლის ბიოგრაფიიდან, უცნობი დარჩებოდა. თუმცა ავტობიოგრაფიული მოთხრობებით ვგებულობთ, თუ როგორ გაუჭირდა ალექსანდრე ყაზბეგს ნინო ჩერნიშოვ-კრუგლოვას მიტოვება. რუს გენერალთან კამათის შემდეგ (საქმე დუელამდეც კი მივიდა) შეყვარებულებს შორის გადაულახავი კედელი აღიმართა და მისი დანგრევა ვერც მობოდიშებამ და ვერც ნინოს ცრემლებმა ვერ შეძლო. მწერალმა თავი დამცირებულად იგრძნო, როცა მისი სამშობლო და ხალხი – ყაზბეგისთვის სალოცავი ხატი – უდიერად და დაცინვით მოიხსენიეს. ამ ფაქტმა



მწერალში უცნაური მეტამორფოზი გამოიწვია. „...ამ ქალს ბუნებრივად ქართველის გრძნობის და არც სინმინდის რწმუნება და არც პატივისცემა არა ჰქონია“, „ჩვენ სხვადასხვა გვარ-ტომის ხალხი ვართ. ერთის გრძნობით ვერ შევხედამთ ერთმანეთის სინმინდეს...“ „თეიმურაზს („ცხოვრების ჩაღბი“ – ე.ზ.) კარგად ესმოდა, რომ თავის ქვეყნის და ხალხის პატივის დაცვა პირადად ღირსების დაცვაა...“ – ეს გაორებული ყაზბეგის ფიქრებია.

იდენტურია „ხევისბერი გოჩას“ გმირების ზნეობრივი ნორმებიც: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ“, „ვინძლო ქვეყანა არ გააცინო“, „კაცს უღვაში ნამუსისთვის გამოუვა“ და ა.შ. „ამ სიტყვებით აგონებდა (ხევისბერი ონისეს – ე.ზ.) იმ მოვალეობას, რომელიც ერთ პირს მთელს სახლობასთან აკავშირებს და მისი საქციელი მთელი ოჯახობის გამაპატიოსნებელი, თუ დამამცირებელი არის“; „ამხანაგის საქციელი კი დანარჩენების სახელსაც იმდენად შეეხებოდა, რამდენადაც თვითონ მოქმედს“.

ამ პასაჟებით დასტურდება, რომ თხზულების გმირები იმ მორალური კრიტიკრიუმებით მოქმედებენ, რომლებითაც ხელმძღვანელობდა მწერალი თავისი ცხოვრების ყველაზე კრიტიკულ მომენტში. მისი პერსონაჟებისთვისაც ქვეყანა, საზოგადოება, პიროვნება ურთიერთადაჯაჭვული ცნებებია და ადამიანის საქციელი არის არა მხოლოდ პიროვნული, არამედ საზოგადოებრივიც: ქვეყნის დაცვა – პირადი ღირსების დაცვაა, მეგობრის სირცხვილი – საზოგადოდ მისი წრის სირცხვილია და ა.შ.

კიდევ ერთი საერთო ფსიქოლოგიური შტრიხი იძებნება ყაზბეგსა და ონისეს შორის.

ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ალ. ყაზბეგს, მართალია, ძალიან უჭირს საყვარელი ქალის მიტოვება, მაგრამ ის თავგანწირული ებრძვის გრძნობას და იმედოვნებს კიდევ, რომ აუცილებლად აჯობებს საკუთარ თავს.

მწერლის ბიოგრაფიული დეტალის მხატვრულ ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე თხზულების ამ ეპიზოდში: ონისე, „ნუთის თავდავინწყებას საკმაოდ დანაშაულად სთვლიდა, ფიცულობდა, რომ აღძრულს გრძნობას გულიდან ამოიფხვრიდა და სწორედ ამ წადილმა წამოაძახა:

– წავალ, შევალ ქორწილში... უღვაში მაქვს, ქუდი მხურავს და გულიც უნდა დაგმორჩილდეს“.

სტრესის დროს ავტორიც და მისი გმირიც ერთნაირად იქცევიან:

ბიოგრაფიიდან: „ის (ალ. ყაზბეგი) მიეგდო დივანზედ და მწარედ, მწარედ შესტირა“.

„ხევისბერი გოჩა“: „ონისე პირქვე ეგდო და დამძიმებული, გახურებული თავი ბალიშიდან ვერ აეღო“.

ალ. ყაზბეგი გრძნობების გამოსახატავად განსაკუთრებულ დატვირთვას ანიჭებს ადამიანის ხელებს. მოსკოვიდან გამოგზავნილ წერილში ის დედას უყვება ნინო ჩერნიშოვ-კრუიგლოვასთან ურთიერთობის ერთ დეტალს: „ეს იჯდა და უკრავდა ფორტეპიანოს, რომელმაც ერთბაშად სრულებით **დამავინწყა ჩემი თავი** და მივვარდი **ხელზედ** საკოცნელად სიტყვებით: „ნინო მიყვარხარ, ნუთუ არა გრძნობ ამ ამბავს?“ ცოტათი შეკრთა ამ სიტყვებზედ, განითლდა, მაგრამ **ხელი არ წამართო...** ერთმანეთის გვესმოდა ორთავ. მე მეჭირა **ერთი ხელით იმისი ხელი** და ვკოცნიდი...“

„ხევისბერი გოჩა“: „– არ მინდა, შენაი ჭირიმე, – უპასუხა კაცმა, რომელსაც **ქალის ხელი** ჯერ კიდევ არ გაეშვა, თუმცა გრძნობდა, რომ **ეს ხელი** სწავადა, სდაგავდა, უღელვებდა სისხლს და გონებას აფანტივებდა“. „...ამ სიტყვებზედ **ქალის ხელი** კიდევ ერთხელ შეკრთა, კიდევ წყნარად გაჟრჟოლდა...“ „ონისემ იგრძნო, რომ მას, ზღვასავით მოაწვა აღელვებული სისხლი... **უბნელებდა თვალებსა და გონებას**“.  
„მხოლოდ საკვირველი ეს იყო, რომ ქალი თითქოს რამდენჯერმე შეკრთა და ხელისმომკიდის **ხელის გაშვება** ეძნელებოდა“.

აღ. ყაზბეგის პირადი განცდები უცვლელად, სიტყვასიტყვითა არის გადატანილი გმირის ხასიათში. ბიოგრაფიულ დეტალებსა და „ხევისბერი გოჩას“ ამ პასაჟს შორის სხვაობა თითქმის არ არის. საერთოა, ასევე, შიშის (ანუ კრძალვის) მომენტი მწერალსა და ონისეს შორის:

„ქალი, რომელსაც თითქმის ღმერთადა ვთვლიდი, ქალი, რომლისაც თითქოს **მეშინოდა...**“ – დედისადმი წერილიდან.

„იმას არამც თუ მიხედვისა და დალაპარაკებისა **ეშინოდა...**“ – „ხევისბერიდან“.

აღ. ყაზბეგის თანამედროვეთაგან ყბადაღებულმა მეცხვარეობის ფაქტმა ხომ პირდაპირი გამოძახილი ჰპოვა „ხევისბერ გოჩაში“. 1870 წლის ბოლოს სიყვარულში დამარცხებული, განადგურებული და სასონარკვეთილი მწერალი რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნდა. მალე ის ცხვარში წავიდა, როგორც თვითონ წერს, ხალხის ცხოვრების გასაცნობად, მაგრამ, ალბათ, უფრო, მოძალებული დარდისა და ტკივილის დასაძლევად. ავტორი პირად ცხოვრებაში გამოცდილ ხერხს **ონისეს გადასარჩენადც მიმართავს**. მიუწვდომელ სიყვარულს რომ გაექცეს, ისიც ცხვარში მიდის და იმედი აქვს, რომ ძიძიას დაეინყებას იქ შეძლებს.

ონისემ ვერ დაძლია ძიძიას სიყვარული. ვერც ყაზბეგმა აჯობა თავის გრძნობას. ამას, ჯერ ერთი, მწერლის ცხოვრება ადასტურებს, მეორე მხრივ კი, 1870 წელს დანერგილი „საქართველოს ბომონდის“ 1882 წელს „ცხოვრების ჩაღებად“ გადაკეთების მცდელობა. როგორც ჩანს, მისი გონება ამ თემას გამუდმებით ესათუთებოდა და თავს დასტრიალებდა.

და ბოლოს, მნიშვნელოვან მხატვრულ მიგნებად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ თხზულების მთავარი პერსონაჟი, ხევისბერი გოჩა, თავისი ხალხის სულიერი წინამძღოლი, ნანარმოებში სხვა კუთხითაც არის წარმოჩენილი – როგორც ერთადერთი შვილის უსაზღვროდ მოყვარული მამა. ფაქტია, რომ მიხეილ ყაზბეგი მისი პროტოტიპი ვერ გახდებოდა. ხევისბერი მიხეილისგან რადიკალურად განსხვავებული პერსონაჟია. ისიც ხევს განაგებს, მაგრამ სამშობლოსთვის და სამართლიანობისთვის იბრძვის, ხალხსაც უყვარს და ენდობა...

განსხვავებულია ხევისბერი გოჩასა და მიხეილ ყაზბეგის დამოკიდებულება შვილებთან. ორივეს ერთადერთი ვაჟი ჰყავს. ისინი მათი ბედნიერებისთვის ლოცულობენ, თუმცა განსხვავებულად.

მწერლის ბიოგრაფიიდან ცნობილია მიხეილ ყაზბეგის მოსაზრება შვილის განათლებაზე: სულერთია, ისწავლის თუ არა, ოღონდ ცოცხალი და ჯანმრთელი იყოსო. აღექსანდრე უკმაყოფილო იყო თავისი აღზრდის დონითა თუ მეთოდებით (მიუხედავად იმისა, რომ მან კერძო მასწავლებლების დახმარებით იმ პერიოდის-

თვის საფუძვლიანი განათლება მიიღო). „ავტობიოგრაფიულ ცნობებში“ ბევრი ჩანანერია დაცული, რომლებშიც მომავალი მწერალი საყვედურობს მშობლებს გიმნაზიაში სწავლის, ნადირობისა თუ სხვა თემებზე. ბავშვობაში პიესაც დაუნერია, „აღმზრდელები“, რომლის გამოც ოჯახისგან ბევრი საყვედურიც მიუღია. მისი უკმაყოფილება ჩანს გამზრდელისადმი წერილშიც: „...აბა, მოიგონე ის დროება, როდესაც მე ბავშვობაში მივლიდნენ ისე, როგორც მეფის შვილს. მანებიერებდნენ უკანასკნელ გარყვნილებამდინ. მასწავლიდნენ შურს, ამპარტავნობას და სიძულვილს“... შემოძლიან სიამაყით გითხრა, შენს გაზრდილში თუ იპოვება რამე რიგიანი ბავშვობიდანვე ჩანერგილი, ამის მიზეზი შენა ხარ, რომლისთვისაც გმადლობს წარმოუთქმელად შენი აკაკია მოჩხუბარიძე“ (ყაზბეგი 1950გ: 209).

ამ სიტყვებს კომენტარიც არ სჭირდება.

აღ. ყაზბეგი სხვაგვარ მამაზე ოცნებობდა და შექმნა კიდეც იგი ხევისბერი გოჩას სახით.

ხევისბრის შვილთან ურთიერთობიდან ჩანს, რომ ის მზრუნველი მამაა, მაგრამ ეს ზრუნვა არასოდეს იღებს ისეთ სახეს, რომელსაც ყაზბეგი თავის ნაწერებში გმობს. გოჩა მკაცრია, მაგრამ მამა-შვილის ურთიერთიყვარულსა და პატივისცემას გარკვეული ეთიკური ნორმების მიმართ ერთნაირი დამოკიდებულება და ერთგულება უდევს საფუძვლად. ხევისბერს, როგორც იტყვიან, უსიტყვოდაც შეუძლია შვილის ყოველი განცდისა თუ ჩანაფიქრის ამოცნობა. „ჰკიდა თუ არა თვალი ონისეს“, მაშინვე მიხვდა, რომ რაღაც ანუხებდა, მოსვენებას უკარგავდა, მაგრამ საყვედურის, გაკიცხვის ნაცვლად რამდენიმე ფრაზას დასჯერდა, რომლებმაც მწარედ „გაჰკენწლა“ ონისეს გული: „არ დაგავინწყდეს, ვისი გორისა ხარ“, „კაცს წვერულვაში ნამუსისთვის გამოუვა“, „ვინძლო ქვეყანა არ გააცინო“. ხევისბერი დარწმუნებულია, რომ შვილი ჩასწვდება და გაითავისებს მის სიტყვებს. მწერლის აზრითაც, სწორედ ასეთი უნდა იყოს ჯანსაღი ურთიერთობა ორ ზრდასრულ ადამიანს შორის.

როგორც ვხედავთ, აქედან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: მწერალმა მიმართა თხზულების **მხატვრული პერსონაჟის ფსიქოლოგიურ დისტანცირებას თავისი რეალური მამის პიროვნებისგან.**

ფსიქოლოგიური რელიზმი, ზოგადად, აღ. ყაზბეგის შემოქმედების დამახასიათებელი თავისებურებაა, მაგრამ ის „ხევისბერ გოჩაში“ თითოეული სტრიქონიდან გამოსჭვივის, რადგან თხზულების ყველა პასაჟს ავტორის პირადად განცდილისა და გამოვლილის კვალი ატყვია.

პროფესორი სოსო სიგუა ერთგან წერს, რომ „კონსტანტინე გამსახურდიამ ნუხილი და ნალველი პერსონაჟებად აქცია, თავისი „მე“ თარაშ ემხვარის სახედ აამეტყველა. ცნობიერად იგი ებრძოდა პესიმიზმს, არაცნობიერად კი ყველა ამ თვისებით დატვირთა თავისი გმირები და ასე შეძლო შინაგანი დისპარმონიისგან გათავისუფლება“.

რამდენად შეძლო ალექსანდრე ყაზბეგმა იმ სევდისა და ტკივილისგან გათავისუფლება, ორი დაკარგული სიყვარულის გამო რომ ხვდა წილად, არ ვიცით, მაგ-

რამ ფაქტია, რომ საკუთარი ალტერ ეგოდ მან ონისე შექმნა და განაჩენიც მკაცრი გამოუტანა.

თუ რატომ გაიმეტა მწერალმა ასე თავისი საყვარელი პერსონაჟი, ეს კიდეც სხვა თემაა, სწორედ მისი ცხოვრების ერთ ტრაგიკულ ამბავს უკავშირდება და ღრმა ფსიქოლოგიურ ანალიზს საჭიროებს...

ცნობილია, რომ ალ. ყაზბეგს, როგორც მწერალს, მოშურნეებმა ძალიან მძიმე განაჩენი გამოუტანეს – პლაგიატში დასდეს ბრალი.

ბედნიერია შემოქმედი, რომელსაც ვახტანგ კოტეტიშვილისნაირი კრიტიკოსი შეხვდება, – წერს პროფესორი ირმა რატიანი.

და მართლაც, ვახტანგ კოტეტიშვილმა კატეგორიული და დასაბუთებული პასუხი გასცა ამ ბრალდების ავტორებს და გააცამტვერა მათი „თეორიები“ (იხ. კოტეტიშვილი 1925).

ეს საკითხი თითქოს საბოლოოდ გადაწყვეტილია, მაგრამ ხანდახან ისევ იჩენს ხოლმე თავს. დამატებითი მტკიცებულებები საქმეს არ ვნებს. ცალკეულ თხზულებებში მწერლის პირადი ცხოვრების ასეთი ფაქტების მიგნება და გამომზეურება კიდეც ერთხელ ადასტურებს, რომ ალ. ყაზბეგის უმშვენიერესი ნაწარმოებების ავტორი თავად მწერალია.

#### **დამოწმებანი:**

**ბარბაქაძე 2006:** ბარბაქაძე, თ. *ალექსანდრე ყაზბეგის ვერსიფიკაცია*. ქართული ლექსმცოდნეობა და სხვ... თბილისი, 2006.

**ბრეგაძე 2014:** ბრეგაძე, ლ. *ალექსანდრე ყაზბეგი და მისიანები ფრიდრიხ ბაიერნის არქეოლოგიურ ანგარიშში*. ალექსანდრე ყაზბეგი – 165. საიუბილეო კრებული. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2014.

**გრიშაშვილი 1960ა:** გრიშაშვილი, ი. *თეატრალური წერილები*. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1960.

**გრიშაშვილი 1960ბ:** გრიშაშვილი ი. *თეატრალური წერილები*. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1960.

**კოტეტიშვილი 1925:** კოტეტიშვილი, ვ. *ალექსანდრე ყაზბეგი და მისი ავტორობის საკითხი*. თბილისი, 1925.

**ლოლაშვილი 1949:** ლოლაშვილი, ივ. ალ. „ყაზბეგი სოფელ ჩერვლენოეში“. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, №24, 1949.

**ყაზბეგი 1950ა:** ყაზბეგი, ალ. „ბ. რედაქტორო!“. *თხზულებათა სრული კრებული* ხუთ ტომად. ტ. V. თბილისი, 1950.

**ყაზბეგი 1950ბ:** ყაზბეგი, ალ. „წერილი დედისადმი“. *თხზულებათა სრული კრებული* ხუთ ტომად. ტ. V. თბილისი, 1950.

**ყაზბეგი 1950გ:** ყაზბეგი, ალ. „წერილი გამზრდელისადმი“. *თხზულებათა სრული კრებული* ხუთ ტომად. ტ. V. თბილისი, 1950.

**ყაზბეგი 1950დ:** ყაზბეგი, ალ. „ყველაფერი აშკარად“. *თხზულებათა სრული კრებული* ხუთ ტომად. ტ. V. თბილისი: 1950.

**ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.** ალ. ყაზბეგის ფონდი, ავტოგრაფი №89/144, შ: №3997/31

*Elisabeth Zardiashvili*  
(Georgia, Tbilisi)

## **Reflection of Alexander Kazbegi's Biography in "Khevisberi Gocha"**

### **Summary**

**Key words:** Kazbegi, archive, biography, "Khevisberi Gocha".

When we speak about A.Kazbegi's literary works, Giorgi Leonidze's statement comes to mind: the writer's personal life forms the basis for his literary works. These words apply to Alexander Kazbegi more than to any other writer. It was his tragic life that left an imprint on his own writings, in which Khevisberi Gocha occupies special place according to his literary character, psychological depth, legal norms, the interrelationship of old and modern literary issues and many other themes. It was in Khevisberi Gocha that the writer introduced most of the details of his personal life.

The main female character of the novel is called Dzidzia, the name of Kazbegi's first love, one of the most beautiful girls living in the village of Garbani, Dzidzia Kukishvili. The description of her appearance exactly coincides with the description of both Dzidzia Kukishvili and the writer's second beloved one, Countess Chernyshova-Kruglova, which is recorded in a letter, sent to his mother from Moscow.

The research confirms that the protagonist of Khevisberi Gocha, Onise is the author's alter ego. Onise is the son of Khevisberi, he suffers a failure in love, after which, like the author of the novel he fled to the mountains to graze sheep flocks, etc. According to biographical documents, both the writer and main characters of the novel share common moral values...